ხელშეკრულება

ქ.თბილისი 12 დეკემბერი 2016წ.

ერთის მხრივ, შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“ (შემდგომში „საუნივერსიტეტო კლინიკა“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ავთანდილ იმედაძის სახით და, მეორე მხრივ, სს “უნივერსალური სამედიცინო ცენტრი“ (შემდგომში „კლინიკური ბაზა“) წარმოდგენილი დირექტორის, მამუკა მახათაძის სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ პირობებზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. საუნივერსიტეტო კლინიკამ განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის `ს1~) ქვეპუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციის საჭიროებისათვის სატრენინგო მომსახურების (CVP კოდი: 80500000) შესყიდვაზე. კლინიკურმა ბაზამ აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული მომსახურება 1200 ლარად და მოიცავს საქართველოს კანონმდელობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს ლარის ფარგლებში.

1.2. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მხარეთა თანამშრომლობა, რაც მიზნად ისახავს „შინაგან მედიცინაში“ რეზიდენტურის პროგრამის ფარგლებში „ონკოლოგიის“ მოდულის წარმატებულად განხორციელებას სამედიცინო დაწესებულებაში („კლინიკური ბაზა“) საქართველოში აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების გათვალიწინებით.

2. ხელშეკრულების მიზანი

ხელშეკრულების მიზანია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №9 სხდომის გადაწყვეტილებით „საუნივერსიტეტო კლინიკისადმი“ მინიჭებული აკრედიტაციის ფარგლებში დიპლომის შემდგომი მზადების განხორციელება რეზიდენტურის პროგრამაში „შინაგანი მედიცინა“ - მოდული „ონკოლოგია“.

3.მხარეთა ფუნქციები

3.1. საუნივერსიტეტო კლინიკა უზრუნველყოფს რეზიდენტების ნაკადს და კლინიკურ ბაზას წინასწარ აცნობებს „შინაგან მედიცინაში“ რეზიდენტურის პროგრამაში მონაწილე რეზიდენტების რაოდენობას და ბაზის გამოყენების ხანგრძლივობას, ასევე, „ონკოლოგიაში“ მოდულის სასწავლო გეგმასა და ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას.

3.2. კლინიკური ბაზა თანახმაა სასწავლო-პრაქტიკული პროცესის წარმართვით განახორციელოს „შინაგან მედიცინაში“ რეზიდენტურის პროგრამის ერთ-ერთი ეტაპი, კერძოდ, მოდული „ონკოლოგია“.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 კლინიკური ბაზა იღებს ვალდებულებას განახორციელოს „შინაგან მედიცინაში“ რეზიდენტურის პროგრამის ფარგლებში „ონკოლოგიის“ მოდულის სწავლება ორი თვის განმავლობაში;

4.2 საუნივერსიტეტო კლინიკა ვალდებულია გაწეული თანამშრომლობისათვის კლინიკურ ბაზას ჩაურიცხოს სწავლების ღირებულება, განსაზღვრული მუხლი 5-ით.

4.3. მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ კეთილსინდისიერად შეასრულებენ ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

5. გაწეული თანამშრომლობისათვის საზღაურის გადახდის ვალდებულება

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით კლინიკურ ბაზაზე „შინაგან მედიცინაში“ რეზიდენტურის პროგრამის ფარგლებში “ონკოლოგიაში“ მოდულის სწავლების ღირებულება შეადგენს 1200 ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდელობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5.2. ანგარიშსწორება იწარმოებს უწაღდო ანგარიშსორებით.

6. სხვა პირობები

6.1 მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედება გრძელდება-ორი თვის განმავლობაში. მემორანდუმის მოქმედების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით.

6,2 მემორანდუმში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით.

6.3 მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეული ინახება მხარეებთან.

7. მხარეთა რეკვიზიტები

„კლინიკური ბაზა“
სს "უნივერსალური სამედიცინო ცენტრი"
მის: ქ. თბილისი, ლისის ტბის მიმდებარედ, №4
ს/კ 405001466
სს „პროკრედიტ ბანკი“,
ანგარიში:GE63PC0133600100059817
ბანკის კოდი: MIBGGE22

დირექტორი

მამუკა მახათაძე

„საუნივერსიტეტო კლინიკა“
შპს „აკად. ნ.ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა
თბილისი, ვაჟა–ფშაველას გამზირი №29
ს/კ: 20516545
მომსახურე ბანკი: „ბანკი ქართუ“
ბ/კ: CRTUGE22
ა/ა: GE87CR0000000000023402
გენერალური დირექტორი
პროფესორი

ავთანდილ იმედაძე